პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 200 (19941) კვირა, 30 აგვისტო, 1987 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

30 აგვისტო მეშახტეების დღეა



1. მეშახტეები

მიუყვანით კი მიგვიყვანეს ტყიბულში, ჯემალ მემანიშვილის სამუშაო ადგილას — ე. მინდელის სახელობის შახტაში, მაგრამ ვერე მთელი ამბები დასვრილდათ მის „მოსარჯულებლად“.

— მასეთი კერპია, ბატონო, დაანებეთ თავი, შვილებიც მასე გაზარდა... — გვითხრა შახტის უფროსმა.

თავი რატომ უნდა დაგვენებებინა? პირიქით, ინტერესი გაიზარდა ამ მუშაკაცის მიმართ: ქვანახშირის გამოსახნგრევი კომბალეინის მემან ქანეა, არა აქვს არცერთი წოდება და ჯილდო, გეგმებს სისტემატურად გადაკარბებით ასრულებს, ერთი სიტყვით, ჩვეულებრივი, რიგითი კაცია, რომელიც უხმაუროდ, ყოველდღიურად აკეთებს თავის საქმეს, საჭეყნო საქმეს... რატომ უნდა ეოერიდოს ფოტოკამერას?

— მამაჩემი, ომში დაიკარგა უბედური, ხშირად გვეტყოდა: საქმე ჩუმად უნდა აკეთოთ, შვილებო, გულით აკეთოთ და ჩუმად. მუშაკაცს რომ დაეიძახებენ, განა, ეს ცოტაა? ბოდა, მართლაც, რა ჩემი საქმეა გაზეთი ან ტელევიზია, მაგი ახალგაზრდებს უნარიათ... — გვეუბნება ჯემალ მემანიშვილი და თან ჩქარობს, სადა სცალია. „მე ვიცი მაგის წამალი“, — გვიჩურჩულა შახტის უფროსმა და გაჯიქებულ მემანიშვილს მიაძახა: „შვილიშვილს გაიცინებ, შენს ნიკას, ნუ დაგეფალე, ახლა, რაც გითხრან, დაუჯერე ამ ხალხს, სასიკეთოდ არიან ჩამოსული, მოსაფერებლად“...

მართლაც აღარაფერი უთქვამს მეშახტეს. ეტყობა, შვილიშვილის დაფიცებამ გასჭრა.

შინ თუ სამუშაოზე

მეტი ყურადღება ქალს—მშრომელს, დედას

ვინ არ იცის ქანდაკება „მუშაკაცი და კოლმეურნე ქალი“, რომელიც სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენასთან არის აღმართული. ეს ქანდაკება, რომელიც თავისუფალი შრომის მიზანსწრაფულ ენერგიას განასახიერებს, ადრეული ჩვენს ქვეყანაში ქალთა თანასწორუფლებიანობის თავისებური სიმბოლო გახდა. სახბჭოთა ქალი, რა უროვნებისაც უნდა იყოს, თავისი ბედის მეუფეა. და ეს ბედი, როგორც დიდი ოქტომბრის შემდეგ განვლილი შვიდი ათწლეულის გამოცდილებამ დაამტკიცა, განუყრელად უკავშირდება ხამშობლის ბედს, მთელი ხალხის ბედს.

ქალის ნიჭი, ოსტატობა, ეოფნა ყველაზე სრულად ვლინდება საზოგადოებრივ შრომაში. ქალთაგან ხუთი ათასზე ეეტს სოციალისტური შრომის გმირის სპეციალ წოდება აქვს მინიჭებული. „ადამიანის ღირსება — ეს არის საქმისადმი დამოკიდებულება“, — ამბობს ხარკოვის მთავარი ფოსტამტის ოპერატორი ლ. სერგეეკო. ქალაქისა და ხოფლის მილიონობით მშრომელი ადასტურებს ამას თავისი ყოველდღიური მუშაობით.

სსრ კავშირის უმაღლესი სახბჭოს დეპუტატად აირჩიეს ესტონეთის ეიგეევს რაიონის ნენრეფ ლ. მარდი. ბრესტის ცენტრალური უნივერმაღის კოლექტივსა და მყიდველთა შორის დამსახურებული პატივისცემა აქვს მოპოვებული სეკციის გამგეს ტ. ცარიკოვას. დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული წარმატებებისათვის სადგურ იასნოვატაიას მორიგეს ლ. ციმბალს, რიგეულ მეამწევეს კ. პრობოროვას, ჩრდილოეთის რკინიგზის ელექტრომექანიკოსს ნ. როგოზინას ტრანსპორტზე პირველი ხუთწლეულის ხტახანოველს პ. ო. კრიგანოხის სახელობის პრემიები მიენიჭათ.

ქალები მუშობენ ჩვენი ხალხმო მეურნეობის ყველა უბანზე, ხოლო სოციალურ სფეროში, ჯანდაცვასა და განათლებაში, კულტურაში, ვაჭრობაში, ისინი სჭარბობენ. მაშასადამე, მათზე დიდად არის დამოკიდებული, თუროგორ განხორციელდება სინამდვილეში ძლიერი სოციალური პოლიტიკა, რომელიც სკკპ XXVII ყრილობამ დასახა...

თავის მხრივ, საზოგადოებაც ვალდებულია იზრუნოს ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის. საკუთრივ, ჩვენი სოციალური პროგრამა გადამწყვეტწლად მას — მშრომელს, დედას, დიასახლისს გულისხმობს. ამ მიმართულებით უკვე გადაიდგა კონკრეტული ნაბიჯები. გამოანგარიშებულია, რომ ჩვეულებრივი ხუთკაციანი ოჯახი მომხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან ყოველწლიურად დაახლოებით ორი ათას მანეთს იღებს.

ამავე დროს ყველგან, როდი იღვწიან ქალთა კანონიერი ინტერესებისა და მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. კერძოდ, მრეწველობის მძიმე და ნაკლებკვალიფიციური სამუშაოების ნახევარი ქალების წილად მოდის. სსრ კავშირის ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის სამინისტრო, რომელიც აფართოებს წარმოებას ციმბირის აღმოსავლეთ რაიონებში, ნაკლებად ზრუნავს იმისათვის, რომ უზრუ-ველყოს შრომის მექანიზაცია ხეების გასხეპაზე, შპალების დახარისხებაზე, დახერხილი მასალის ჩამოგრასა და სხვა ოპერაციებზე. გვაკლია საავადმყოფოები, სამშობიარო სახლები, სანავშვო ბაღები, სასადილოები, ბოსტნეულსაცავები. ამ ცოტა ხნის წინ რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლეს სახბჭოში პრინციპული შეფასება მიეცა სამინისტროს და ტერიტორიულ-სამრეწველო კომპლექსის ხელმძღვანელთა წინდაუხედავ პოლიტიკას.

შრომის მძიმე პირობებზე, სამეურნეო ხელმძღვანელებისა და პროფკავშირული კომიტეტების გულგრილობაზე მუშა ქალთა ხაჩავრები შემოდის ხორციცა და რძის, კვების, პოლიგრაფიული, ქიმიური მრეწველობის საწარმოებიდანაც. თითქმის მილიონმა ქალმა აირჩია პროფესიად მშენებლის კეთილშობილური შრომა, მაგრამ მექანიზაციის დონე აქაც საშუალოდ სულ რაღაც ოცდაათიოდ პროცენტს თუ აღწევს. მრავალი წელია მიმდინარეობს ლაპარაკი, მაგალითად, ინდუსტრიულ მეთოდებზე მოპარკეთების სამუშაოების გადაყვანის შესახებ. მაგრამ დღემდე ათასობით მომპირკეთებელი ქალის ერთადერთი თანაშემწეა ძლიერი ვიბრაციის მქონე მძიმე ხაგლესავი მანქანა. ამისათვის უშუალოდ აგებენ პასუხს სსრ კავშირის საგზაო მანქანათმშენებლობის სამინისტროს ორგანიზაციათა ხელმძღვანელები და კონსტრუქტორები.

ნაკლებად ზრუნავენ ვაკრობასა და საზოგადოებრივ კვებაში შრომატევადი ოპერაციების რეალური შემსუბუქებისათვის სსრ კავშირის ვაკრობის სამინისტრო, „ცენტროსოიუზი“, შესახამისი რესპუბლიკური ორგანოები. საწყობებში, ბაზებში, უშუალოდ მაღაზიებში ქალებს ხელით უხდებათ ათობით ტონა ტვირთის გადამუშავება. არ არის მცირე მექანიზაციის საშუალებანი, ნელა ინერგება საჭონლის ავტომატური დაფასოება. სსრ კავშირის მსუბუქი და კვების მრეწველობის მანქანათმშენებლობის სამინისტროში წლობით ვერ ითვისებენ შემუშავებული და შემოწმებული მექანიზმების სერიულ წარმოებას.

ჯერ კიდევ ბევრია ისეთი საწარმო და გაერთიანება, სადაც ადმინისტრაცია, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები შეუწყვარებელ გულგრილობას იჩენენ მუშა ქალთა ჯანმრთელობისა და შრომის დაცვისადმი. ასეთი ფაქტების წინააღმდეგ აქტიურად და შეუპოვრად უნდა ილაშქრებდნენ ქალთა სახბჭოები. ჩვენ უკვე გვაქვს მათი ეზარდი გავლენის კარგი გამოცდილება. მაგრამ დედაქალაქის ლენინის სახელობის საავტომობილო ქარხნის ქალთა სახბჭომ ხელი შეუწყო ამას, რომ ხელშეკრულებაში შეეტანათ მთელი რიგი წინადადებანი ქალთა მრავალცვლიანი მუშაობის მოწესრიგების, მათი შრომის, დასვენების, ჭკვნარელობის პირობების გაუმჯობესების შესახებ. ჩელიაბინსკის საათების ქარხანაში აქტივისტი ქალების შემწეობით ინერგება მოქნილი გრაფიკი და შინ შრომა.

ქალთა საკავშირო კონფერენციის ტრიბუნიდან ვაისმა მოწოდება ყოველნაირად გავზარდოთ საზოგადოებაში მშრომელი დედის ავტორიტეტი. ოჯახში, სკოლაში, შრომითს კოლექტივში საჭიროა სიტყვითა და საქმით კამკვიდრებდეთ იმის შეგნებას, რომ ადამიანისათვის დედა ყველაზე ძვირფასი არსებაა და დედისა და დედაშვილობისადმი დამოკიდებულება განსაზღვრავს ყოველი ჩვენგანის მორალურ სახეს. ჩვენ ყველანი ერთად უნდა ვეხმარებოდეთ ქალებს, რათა ერთმანეთს შეუხამონ საზოგადოებრივი წარმოება და ჩვენი ცხელი ალბრი. „ბავშვთა აღსაზრდელად ზრუნვა არანაირ კოლექტივში არ უნდა მივიჩნიოთ დაკარგულ დროდ, — სწერს „პრავდას“ მოსკოველი ნ. კონდაკოვა. — კარგი იქნებოდა ეს მუშობა სხვა საზოგადოებრივ სახარგებლო საქმიანობასთან ერთად აღგვენიშნა დახასიათებებში, პრემიების განაწილებისას, პერსონალური პენსიების დანიშვნისას“.

ჩვენს ქვეყანაში 70 მილიონი ოჯახია. ამასთანავე 30 ყოველწლიურად აღირიცხება 900 ათასზე მეტი გაყრა, შვიდასი ათას ბავშვს მშობელთაგან ერთ-ერთი მოაკლდება ხოლმე. ერთი შეხედვით პირადი უსიამოვნებანი დაღს ასვამს განწყობილებასა და შრომის ნაყოფიერებაჭ, ადამიანის საზოგადოებრივ აქტიურობას და, საბოლოო ანგარიშით, საზოგადოების მორალურ კლიმატს.

ოჯახის, მეტადრე ახალგაზრდა ოჯახის ყოველმხრივი მხარდაჭერა პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ხელმძღვანელების, პროფკავშირული კომიტეტებისა და ქალთა სახბჭოების ვალია. სარედაქციო ფოსტა მოწმობს, რომ ჯერ კიდევ ყველგან როდი განმტკიცდნენ ამ მუშაობის უდიდესი მნიშვნელობის შეგნებით. განსაკუთრებით შეუწყვარებელია გულგრილობა ჭვრილშვილიანი ოჯახების საჭიროებებისა და მოთხოვნილებებისადმი, ხაყოფაცხოვრები პირობებისადმი. „ძალიან ვეტკენს გულს ადგილობრივ ხელისუფალთა გულგრილობა, — სწერს „პრავდას“ კრასნოიარსკის მხარის წარმომადგენელი ო. სტროოეევა, ოთხი შვილის დედა. — ჩვენ ვიწერო ბინაში ვცხოვრობთ, სანავშვო ბაღი შორს გვაქვს. ჩემი ქმარი მაღაროელია, სამსახურში კარგი სახელი აქვს, მაგრამ ვისაც კი მივმართეთ დახმარებისათვის, დაპირებების გარდა ვერაფერი მივიღეთ. ნუთუ ჩვენთან, შირინკის რაიონში უკვე ამოიწურა გულითადობის ლიმიტი?“.

პარტიული კომიტეტების, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების ვალია, კი არ ელოდონ, როდის მიმართავენ მათ დახმარებისათვის, არამედ თვითონ შეუწყონ ხელი ჭვრილშვილიან ოჯახებს, აიყვანონ ისინი აღრიცხვაზე, გაუწიონ საჭირო დახმარება. მოხაოვის საქალაქო საბჭოში, მაგალითად, აქტიურად მუშაობს განყოფილება ოჯახისა და ქორწინების საკითხებზე. მისი ინიციატივით გამოავლინეს ჭვრილშვილიანი დედები, აღმასკომმა მიიღო გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ გავრცელდეს სამედიცინო, საყოფაცხოვრებო, სავაჭრო მომსახურების შეღავათები ორზე მეტი შვილის მყოლ ოჯახებზე. სამწუხაროდ, ადგილობრივი საბჭოები ჯერ კიდევ ყველგან როდი განმტკიცდნენ ამ სამსახურის მნიშვნელობის გაგებით. კარგა ხანია ქალთა წინაშე ვალშია მომსახურების სფერო. გამოანგარიშებულია, რომ მუშა ქალები ოჯახში საშუალოდ ოთხ-ხუთ საათს მუშაობენ.

საზოგადოებრივ წარმოებაში, პოლიტიკურ და კულტურულ საქმიანობაში ქალთა თანასწორუფლებიანმა მონაწილეობამ მკვეთრად გაზარდა მათი ავტორიტეტი, გაუმახვილა მათ ადამიანური ღირსების გრძნობა.

ჭვეყანა ამაყობს თავისი სახახელო დედებით. სკკპ ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს ქალთა ჭმედით მონაწილეობას პარტიის გრანდიოზულ წინასწარდასახულობათა განხორციელებაში, მათს დღენიადაგ მზარდ პოლიტიკურ და შრომითს აქტიურობას.

ოფიციალური

PRAVDA

29 აგვისტოს მოწინავე

ᲒᲣᲨᲘᲜ, ᲓᲦᲔᲡ, ᲮᲕᲐᲚ

ფაქტი □ მოვლენა □ კომენტარი

70

ᲐᲮᲚᲝᲕᲓᲔᲑᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ 70-Ე ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘ. ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘᲡ ᲣᲐᲮᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲖᲠᲣᲜᲐᲕᲘ ᲔᲚᲕ.

ᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ. „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ“ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲐᲓ ᲒᲐᲖᲦᲓᲘᲗ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲔᲡᲐᲕᲚ. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲐ ᲓᲐᲜᲘᲠᲕᲘᲗ ᲛᲘᲡ „ᲛᲝᲡᲐᲠᲯᲣᲚᲔᲑᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ“.

ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲐᲠ ᲒᲐᲢᲔᲮᲔᲡ

● ᲑᲣᲜᲕᲐᲠᲩᲔᲚᲘ. სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის შახტის საწმენდი და მოსამზადებელი ნანგრევების მაღაროელები თავს არ ზოგავენ, რომ 7 ნოემბრისათვის შეასრულონ ხუთწლედის ორი წლის გეგმა.

მათ სიტყვა არ გატეხეს. და შვიდი თვის გეგმის, გადამეტებით 1.500 ტონით მეტი კოქსადი ქვანახშირი ამოიღეს.

ლავებსა და სანგრევებში საშუშაოთა ორგანიზაციის გარდაქმნის, სათბობის ინტენსიური მოპოვებისა და გეირაბების გაყვანის დაჩქარებული გრაფიკის დანერგვის პირობებში, კადრის მაღაროელებმა მხარი დაუჭირეს სვერდლოვსკელთა ინიციატივას, რომლებმაც შეჯიბრება გააჩაღეს შრომისა და საზოგადოებრივი დისციპლინის კოლექტიური გარანტიისათვის.

მათი მაგალითისამებრ თითოეულმა მეშახტემ იკისრა პირადი პასუხისმგებლობა ძირეულ კოლექტივებში საშემსრულებლო დისციპლინის მდგომარეობისათვის.

ამან განაპირობა რთულ გეოლოგიურ პირობებში საგეგმო დავალებების ვადაზე ადრე შესრულება.

განსაკუთრებით ისახელეს თავი მესამე საწარმოო უბნის მაღაროელებმა, რომელსაც გამოცდილი სამთო ინჟინერი ე. თურნავა მეთაურობს.

აქ უკვე დეკემბრის ანგარიშში მუშაობენ.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝ ᲐᲛᲣᲨᲐᲕᲓᲐ

● აი, კიდევ ერთი სასიხარულო ამბავი: საიუბილეოდ მზადების დღეებში ამუშავდა რესპუბლიკის სახანაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს განათების ბოძების დამამზადებელი ქარხნის პირველი რიგი.

საწარმო, გარდა განათების ბოძებისა, სასაქონლო ბეტონისა და წყალსატევების ნაპირსამაგრ კუბებსაც ამზადებს. ეს უკანასკნელი ნარჩენი ნარჩენებისაგან კეთდება. მალე ქარხანა სხვა მასალებსაც გამოუშვებს. გათვალისწინებულია აგრეთვე ფართო მოხმარების საქონლის, კერძოდ, წვრილი საყოფლე ბლოკების წარმოება, რაც მალე განხორციელდება. მიმდინარე წელს საწარმო უკვე გამოუშვებს მილიონამდე მანეთის პროდუქციას.

პარალელურად შენდება მეორე რიგი.

ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠ საუკუნეზე მეტია, სახალხო განათლების სამეცნიერო-მასწავლებლური ინსტიტუტი ეწევა ეროვნული ენის, ლიტერატურისა და ისტორიის, ფილოლოგიური ფაკულტეტი ეროვნული ენისა და ლიტერატურის, ისტორიისა და ფილოლოგიის, ბიბლიოთეკა-ბიბლიოგრაფიის, ფიზიკა-მათემატიკის, ბიოლოგიის, ქიმიის, ფიზიკურ აღზრდის, ისტორიის, ენათმეცნიერების, ბიბლიოთეკა-ბიბლიოგრაფ

უდიდესი პასუხისმგებლობის რეჟიმით

ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲐᲓ დამთავრდა ენგურჰესის 273-მეტრიანი კაშხლის მშენებლობა. მისი წყალსაცავის დონემ საპროექტო ნიშნულს მიაღწია. ეს დიდმნიშვნელოვანი ეტაპია რესპუბლიკის ენერგეტიკული პოტენციალის განვითარებაში, ზამთრის პერიოდისათვის სახალხო მეურნეობის მზადებაში. მოვაწყოთ მოსამზადებელი სამუშაოები უდიდესი პასუხისმგებლობის რეჟიმით, განვუმარტოთ ყოველ მშრომელს მათი მნიშვნელობა — აი, რა არის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელების უპირველესი ამოცანა. ამაზეა დამოკიდებული მომდინარე წლის წარმატებით დამთავრება, მეთორმეტე ხუთწლედის მესამე წლის გულდაჯერებული სტარტი. ამ აზრით იყო გასაჭვალული სათბობ-ენერგეტიკული რესურსების წარმოებისა და მოხმარების პროცესების მართვის საკითხთა ოპერატიული ჯგუფის თათბირი, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა.

რესპუბლიკაში შეიქმნა ზამთრისათვის მზადების ჩამოყალიბებული სისტემა. გადაჭარბებით არის შესრულებული ქვანახშირის, ნავთობის, თანამდევი გაზის მოპოვების შვიდი თვის დავალებანი. დაგეგმილზე მეტია წარმოებული მაზუთი და ავტობენზინი. დაზოგილია დიდძალი სათბობ-ენერგეტიკული რესურსები. შესრულებულია დიდი მოცულობის სამუშაოები ელექტროგადამცემი ხაზების, გაზსადენებისა და წყალსადენების აღსადგენად, რომლებიც ამ ზამთარს დაინგრა სტიქიის შემოტევის შედეგად. შექმნილია სათბობის მარაგი.

მაგრამ პირველი შედეგები არ არის საკმარისი. სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის განვითარება უნდა დაჩქარდეს, საჭიროა რაც შეიძლება მალე გავზარდოთ სიმძლავრენი, ვეძებოთ ენერგიის ახალი, არატრადიციული წყაროები. ფაქტები კი მოწმობს, რომ ყველგან როდია საქმე კარგად.

გაუმართლებლად გაჭიანურდა ჩრდილოეთ კავკასია-ამიერკავკასიის გაზსადენის მშენებლობა საქართველოს ტერიტორიაზე გამავალ უბანზე. აქ კაპიტალური დაბანდების ათვისების გეგმა მხოლოდ 76 პროცენტით შესრულდა. ამის შედეგად ამ დიდმნიშვნელოვანი ობიექტის ამოქმედება საგაისოდ გადაიდო. უნდა გაიზარდოს აგრეთვე გაზსადენების საიმედოობა, აღიკვეთოს ზამთრის თვეებში გაზის ნაკლებობა, როდესაც მისი ხარჯი მკვეთრად მატულობს.

ჯერ კიდევ სრულად არ ვიყენებთ მეორეულ ენერგორესურსებს. მაგალითად, საწარმოო გაერთიანება „საქტრანსგაზში“ იკარგება გაზსაკომპრესორო დანადგარების სითბო, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში — ფეროგაზების სითბო.

რესპუბლიკაში შემუშავებულია თერმული წყლების, სითბური ტუმბოების, მზის ენერგიის, ბიომასის გამოყენების პროგრამა. მისი რეალიზაცია საშუალებას მოგვცემს, სპეციალისტთა პროგნოზებით, 1990 წელს დაეზოგოთ 80 ათასი ტონა პირობითი სათბობი. დასახულის განსახორციელებლად ამ მხრივ მიმდინარე სამუშაოები უნდა დავაჩქაროთ.

ქრონიკულად აფერხებს მუშაობას ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხანა. არადა, მასზე ბევრად არის დამოკიდებული რესპუბლიკის მომარაგება ნავთობპროდუქტებით. ამ პროდუქტების 40 პროცენტზე მეტი ბათუმიდან მოგვდის, ამიტომ მაქსიმალურად უნდა გავაძლიეროთ ქარხანაში მიმდინარე ძირფესვიანი რეკონსტრუქციის ტემპი.

დღის წესრიგიდან არ მოხსნილა ელექტროენერგიით რესპუბლიკის უზრუნველყოფის პრობლემა. შვიდი თვის მანძილზე მის წარმოებაში ჩამორჩენამ დაახლოებით 800 მილიონი კილოვატსაათი შეადგინა, წლის დამლევისთვის კი ეს მაჩვენებელი შეიძლება ორ მილიარდამდე გაიზარდოს. შექმნილი მდგომარეობის ერთ-ერთი მიზეზია დიდი გარღვევა — დაახლოებით 37 პროცენტი — ელექტროსადგურების დაწესებულ და სამუშაო სიმძლავრეს შორის. გარდა ამისა, გაზოგუნელის წყალდიდობით გამოწვეულმა დაზიანებამ ჩაშლის საფრთხე შეუქმნა ვარციხის კასკადის ორი ჰიდროაგრეგატის დროულ ამოქმედებას.

არ არის საკმარისი კონტროლი ელექტროენერგიის რაციონალური, მზრუნველი მოხმარებისადმი. თუმცა მისი საერთო ეკონომია რესპუბლიკაში წელს საკმაოდ დიდია და 220 მილიონ კილოვატსაათს შეადგენს, მთელი რიგი მომხმარებლები ზედმეტს ხარჯავენ. მათ შორის არის ქუთაისის საავტომობილო ქარხანა, რუსთავის საწარმოო გაერთიანება „აზოტი“, ზოგიერთი რაიონი. ცუდად ემზადებიან ზამთრისათვის ახმეტის რაიონში. აქ ყველა სანლში როდია გაყვანილი ცენტრალური გათბობა, საცხოვრებელი სახლებისა და საწარმოების საქვაბეებში არ არის ავტომატიკა, სარექომენდაციები. რაიონი საკმარისად არ არის უზრუნველყოფილი სათბობით.

აცივების შემდეგ ეს უთუოდ გამოიწვევს ელექტროენერგიის ხარჯის გადიდებას, რაც აქამდე არაერთგზის მომხდარა. რაიონის ხელმძღვანელობას წინადადება მიეცა მოკლე ვადაში აღმოფხვრას დაშვებული ნაკლოვანებანი და ჯეროვნად მოემზადოს ზამთრისათვის.

ახალქალაქის, ბოგდანოვკის, მარნეულისა და ცხინვალის რაიონების მეურნეობებში არ არის შემუშავებული სათბობ-ენერგეტიკული რესურსების დაზოგვის ღონისძიებანი, არ აკონტროლებენ მათ ხარჯვას.

ადგილობრივი პარტიული ორგანოები არ აანალიზებენ საქმის მდგომარეობას ამ მიმართულებით, თვითდინებაზე მიუშვეს აგროსამრეწველო კომპლექსის ობიექტების მზადება ზამთრისათვის. ამის შედეგად ბევრი მეცხოველეობის ფერმა არ აღმოჩნდა უზრუნველყოფილი შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით.

დამაკმაყოფილებლად არ რემონტდება რესპუბლიკის სპორტული ფონდი. განსაკუთრებით ყოვნდება ეს საქმე რუსთავში, ჭიათურაში, წყალტუბოში, მარნეულში. თანაც ერთი კვადრატული მეტრი ფართობის კაპიტალური რემონტის დანახარჯები 136 მანეთს შეადგენს, რაც 64 მანეთით აღემატება საგეგმო მაჩვენებელს.

ზამთრისათვის მზადებაში წვრილმანები არ უნდა იყოს. იგი მკაცრად მოგვითხოვს ყოველგვარი შეცდომისა თუ დაუდევრობისათვის და შეიძლება კაპიკის ხარვეზმა ათასობით მანეთი გვაზარალოს. ეს კი უშუალო ზიანს მიაყენებს ეკონომიკას, გარდაქმნის მთელ პროცესს.

თათბირმა შეიმუშავა კონკრეტული რეკომენდაციები გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. (საქინფორმი).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა. სხვა საკითხებთან ერთად განიხილეს რესპუბლიკის ჯანდაცვის ობიექტების შენებლობის მიმდინარეობა და 1987 წელს მათი ამოქმედების უზრუნველყოფის ღონისძიებანი.

აღინიშნა, რომ სამკურნალო დაწესებულებათა მშენებლობაზე ძალზე მძიმე მდგომარეობა შეიქმნა. წლიური დავალებით გათვალისწინებული 2913-საწოლიანი საავადმყოფოებისა და ცვლაში 8110 პაციენტისთვის განკუთვნილი ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებების ამოქმედების ნაცვლად მიმდინარე წლის იანვარ-ივლისში საექსპლოატაციოდ არის გადაცემული 363-საწოლიანი საავადმყოფოები, ცვლაში 2610 პაციენტის მომსახურებისათვის განკუთვნილი ამბულატორიები და პოლიკლინიკები.

დიდი მოცულობის სამუშაოები უნდა შესრულდეს ობიექტების მშენებლობაზე, რომლებიც შენდება საკავშირო კომუნისტურ შათბობთა მოწყობის შედეგად მიღებული სახსრების ხარჯზე, მათ შორის არის ქუთაისის სამშობიარო სახლი, რომელიც III კვარტალში უნდა ჩაბარდეს.

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს (ამხ. მანჯგალაძე), რესპუბლიკური გაერთიანება „საქაგრომშენის“ (ამხ. ზარატიშვილი), საქართველოს სსრ კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს (ამხ. ზატუაშვილი) მუშაობა საავადმყოფოებისა და ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებების მშენებლობის დარგში უაღრესად არადამაკმაყოფილებლად არის მიჩნეული. სამინისტროებსა და მოიჯარე უწყებებს და შემკვეთს მიეცათ კონკრეტული დავალებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ სამედიცინო დაწესებულებათა მშენებლობისა და საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმის უცილობელ შესრულებას.

პურსაცხობი და მაკარონის მრეწველობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების საკითხის განხილვისას და რესპუბლიკის პურპროდუქტების სამინისტროს და სამომხმარებლო კოოპერაციის, ადგილობრივი საბჭოთა ორგანოების წინაშე დასმულია ამოცანა, რომ სრულად დაკმაყოფილონ მოსახლეობის მოთხოვნილება მაღალი ხარისხისა და საჭირო ასორტიმენტის პურ-ფუნთუშეულ, ცომეულ-საკონდიტრო ნაწარეულით და მაკარონეულზე, უზრუნველყონ ამ დარგის საწარმოთა მოდერნიზაცია, აგრეთვე მათი მუშაობის სანიანო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების არსებითი გაუმჯობესება.

მიღებულია მახარაძის რაიონის ხელმძღვანელობისა და სოფელ ნატანების ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობის, ჩაის ფაბრიკის, საფუთავი ქარხნის, ხის დამუშავებელი სახელოსნოს, თონისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტის შეფასება. ეს თავისთავად უკეთესობისაკენ აღებული კურსია და მისი განმტკიცების აუცილებელი პირობა საკუთარი მყარი საკვები ბაზის შექმნაა.

...მაიაკოვსკის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის საკვებმომზადებელი მდინარე ყვირილის გვერდით ახალჭალის მინდორს თიბავენ. გაზაფხულის წყალდიდობის კვალი აქაურობას ნათლად ატყვია. 16 ჰექტარი ფართობი სულ დაულამავს. სადაც ახლა თიბავები მუშაობენ, გაცოფებული მდინარის ტალღები დანავარდობდნენ. რა არ დაუტოვებია აქ მდინარეს! ყველაფრის გატანა ვერ მოუსწრიათ, დამსხვრეული ნავებიც კი ყრია. სილამ, როგორც ჩანს, გაამდიდრა სათიბი, ბალახი წელამდეა მოსული და ისეთი ხშირია, სათიბმა მანქანებმა ვერ იმუშავეს, მაშინ საკვებმომპოვებლებმა მამაპაპეული ცელები მოიმარჯვეს და ქუდზე კაცი გამოვიდა. როდესაც საუკეთესო მთიბავებით დავინტერესდი, გვითხრეს, სამაგალითოდ ირჯებიან ოთარ გოქსაძე, აკაკი არწეიძე, დუხუნ და ვასილ სახამბერაძეებო. აქ წინათ ორჯერ ვთიბავდით, ახლა ერთხელ თუ გავთიბავთ, სამაგიეროდ სათიბი ძალიან მდიდარია, ბალახის ასეთ მოსავალს არ მოვსწრებივართო.

დავინტერესდით შრომის ანაზღაურების მეთოდით. აგრონომმა ჯუდუ გეგეშიძემ გვითხრა: გასამრჯელოს საბოლოო შედეგების მიხედვით გაგაცემთო. უკვე მერამდენედ ერთი და იგივე ფაქტს ვაწყდებით, რატომღაც უნდათ, რომ მათი შრომა იჯარულ მეთოდად მოინათლოს ხოლმე. ეს სურვილი თავისთავად შეიძლება კარგიც იყოს, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამგვარ მუშაობას თავისი გამოკვეთილი ფორმა აქვს. სახელდახელოდ შეკრებილი მთიბავების რგოლის გარჯა იჯარული მეთოდით როგორ შეევფასოთ, როცა ეს საკვები კულტურები მათ არ მოუყვანიათ. თავიანთ ბრიგადებში მათ ძირითადად სხვა საქმეები ევალებათ და დღევანდელ შრომა დიახაც რომ საპატიოა, მაგრამ წლის შრომითი ციკლის მიხედვით მაინც ეპიზოდურია. არც ის უნდა იყოს მთლად სწორი, როცა ადამიანები ერთნაირ ენერგიას არ ხარჯავენ, აქედან გამომდინარე, სხვადასხვა ოდენობის პროდუქციას ქმნიან და შრომის გასამრჯელო კი თანაბრად უნდა მიიღონ. თითქოს აქ მთავარი ის იყოს, მავანი და მავანი დაარწმუნონ, იჯარული მეთოდით ვმუშაობთო.

უკვე 160 ტონა თივა ფერმის ეზოში მიუტანიათ და ზვინებად დაუდგამთ. კოლმეურნეობას უკვე 27 წელიწადია გამოცდილი თავკაცი, ორგზის ლენინის ორდენოსანი ანდრო კიკნავლიძე ხელმძღვანელობს. გაისად თურმე ბატონ ანდროს თავმჯდომარეობის 40 წლისთავი უსრულდება. ეს თარიღი ჰკვიან მეურნეს თავისთავად აყენებს რესპუბლიკის იმ საპატიო ადამიანების გვერდით, რომლებიც საკოლმეურნეო მშენებლობის ვეტერანებად ითვლებიან და დღესაც გზას უკვალავენ საზოგადოებრივ მეურნეობათა ახალგაზრდა თაკკაცებს. თითქოს ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ ჭკვიანი თავმჯდომარე იმითაც ჩანს, რომ თვის ზვინებისათვის ლითონის ნეტავ, როდემდე ერქმევა „დროებითი უმუშევარი“ რამდენიმე ასეულ სპეციალისტს? რისი იმედით არიან, ან რად ვერ სცილდებიან ქალაქს? თქმა არ უნდა: მთა მეაცრი ბუნებით გაცილებით მეტ საზრუნავს უჩენს ადამიანს, ვიდრე ბარი, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში მთაში სამუშაოდ ხალისით მიეშურებოდნენ ახალბედა მასწავლებლები და ექიმები. არც უგზოობას უფრთხოდნენ, არც მძიმე სამინაო და საყოფაცხოვრებო პირობებს. ახლა მთაში კეთილმოწყობილი გზებიც არის, გაზიც, ტელეგადაცემებიც კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებებიც, და თუმცა დედაქალაქთან შედარებით სიძნელეებიც მეტია, განა ახალგაზრდებმა ცხოვრება სწორედ სიძნელეების დაძლევით არ უნდა დაიწყონ? განა ეს არ არის მათი ეთიკური, მორალური, მამულიშვილური მოვალეობა? განა ამას არ გვასწავლის მამა-პაპათა მიერ განვლილი გზა, ან მათივე თანატოლების ანგარაზე, ბამზე და ჩვენი ქვეყნის სხვა მრავალ ახალგაზრდულ მშენებლობაზე გამოჩენილი გმირობა? და ბოლოს, რისთვის ამთავრებს ზოგიერთი ახალგაზრდა უმაღლეს სასწავლებელს, პროფესიის, სპეციალობის სიყვარულით თუ მხოლოდ დიპლომისათვის?

სპეციალისტთა სიჭარბემ განაპირობა ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში საღამოს დაუსწრებელ ფაკულტეტზე მიღების შეწყვეტა (ამ ფაკულტეტზე, ძირითადად, ბათუმისა და ახლომდებარე სოფლების ახალგაზრდები შედიოდნენ). ეს ღონისძიება, ცხადია, უთუოდ შეამცირებს დროებით უმუშევართა რიცხვს, მაგრამ ხომ არის კიდევ სხვა გამოსავალი: სკოლებში ცოტა როდია ხანდაზმული პენსიონერი პედაგოგი, რომლებმაც თავის დროზე დიდი საქმე გააკეთეს, მაგრამ ახლა ისე ნაყოფიერად ვეღარ მუშაობენ. სწორედ მათ უნდა გადაულოცონ ესტაფეტა ახალგაზრდებს. განა ეს ბუნებრივი კანონზომიერება არ არის?

მეტად რთულია სპეციალისტთა განაწილების მდგომარეობა ჯანდაცვის სისტემაშიც. ბოლო სამი წლის მანძილზე სამედიცინო სასწავლებლებს სამუშაო ადგილზე არც ერთი სპეციალისტი არ გაუნაწილებია, რადგან საუშაოლ სამედიცინო პერსონალი არსად აკლიათ. 1984-1986 წლებში 395 კურსდამთავრებულიდან სამედიცინო-სამკურნალო და ბიოლოგიურ-ქიმიკურ დაწესებულებებში მოეწყო მხოლოდ ორასამდე ახალგაზრდა, დანარჩენი რიგს ელოდება.

პროდუქტები— დედაქალაქის მშრომელებს

ᲒᲐᲠᲓᲐᲑᲐᲜᲘ. (საკ. კორ.) კრწანისის სასწავლო-ექსპერიმენტული მეურნეობის მშრომელებმა რაიონში პირველებმა უპატაკეს სამშობლოს მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფოსათვის მიყიდვის სამი კვარტალის გეგმების შესრულება. 20 აგვისტოსათვის რესპუბლიკის დედაქალაქის მშრომელებს გაუგზავნეს 8.450 ცენტნერი რძე, ანუ 1.500 ცენტნერით მეტი გეგმასთან შედარებით. ვალდებულების ანგარიშში გაიგზავნა აგრეთვე ხორცი და კვერცხი. მეცხოველეები კვლავაც ზრდიან პროდუქციის წარმოებას.

საიუბილეო წელს საგრძნობლად გაუმჯობესდა მუშაობა აგრეთვე ნამატის მიღებისა და შენარჩუნების, გასუქებული პირუტყვის სადღეღამისო წონამატებისა და მეურნეობის რენტაბელური გაძღოლის სხვა ეკონომიკური მაჩვენებლების მიღწევისათვის. მაგალითად, პირუტყვის საშუალო სადღეღამისო წონამატება საგეგმო 400 გრამის ნაცვლად 500 გრამზე მეტია, მიღებული რძის 90 პროცენტი პირველი ხარისხისაა. სახელმწიფოსათვის მიყიდული პირუტყვის საშუალო წონა 20-25 კილოგრამით მეტია.

რაიონში პირუტყვის გამოზამთრებისთვისაც კარგად ზრუნავენ. თავი ისახელეს კრწანისელმა საკვებმომპოვებლებმაც, რომლებმაც დაამზადეს კონცენტრატებით გამდიდრებული წლინახევრისათვის საკმარისი თივა, სილოსი და სენაჟი.

შრომითი კოლექტივის წარმატებებში ღირსეული წვლილი შეიტანეს მწველავებმა ლია გუჯარიძემ და თამარ რუხაძემ, რომელთა კალენდარზე მომავალი წელი იფურცლება. თამაზ აფხაიძისა და ბიალ ზიალოვის საკვებმომპოვებელი იჯარული ბრიგადები ამზადებენ უხვ, ყუთათან და იაფ საკვებს.

აქაურმა მშრომელებმა ხელახლა გაიანგარიშეს თავიანთი შესაძლებლობანი და გადაწყვიტეს, 7 ნომბრისათვის კი არა, როგორც ადრე ითვალისწინებდნენ, არამედ სსრ კავშირის კონსტიტუციის დღის — 7 ოქტომბრისათვის შეასრულონ სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის წლიური გეგმები. კვლავაც შევამცირებთ პროდუქციის თვითღირებულებას და გავაუმჯობესებთ ხარისხს, მოგვების თანხას გავზრდით 200 ათას მანეთამდე, — განაცხადა მეურნეობის დირექტორმა ზაალ მანჯგალაძემ.

2. მეშახტეები

ᲕᲘᲣᲜᲘᲔᲑᲘᲗ: „აქვე ყოფილიათ ორი ვაჟიშვილი, ბატონო ჯემალ და გადაგიღებთ ერთად, რაც იქნება, იქნება“... „მაშინ ცოტა უნდა დაიცადოთ, ცვლა დამთავრდეს. ისედაც გავცდი დღეს“...

რაღა გვეთქმოდა, დაველოდეთ. მერე კი ვაჟიშვილებიც გაგვაცნო, ერთი — მამუკა წყალქცევის უბანში მიწისქვეშა დანადგარების მემანქანეა და თან საქართველოს ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ტყიბულის ფილიალის საღამოს განყოფილებაზე სწავლობს... მეორე — პლატონი № 2 უბანში საწმენდი სანგრევის მუშაა, ტყიბულის ინდუსტრიული ტექნიკუმი აქვს დამთავრებული, სულ მალე ახალ ბინაში გადავალო, გვეუბნება. ორი შვილი ჰყავს პლატონს: 5 წლის ანა და, აი, ის ნიკა, უფროსი მემანიშვილეს იმედი და ჩვენი „მხსნელი“. მოგვიყვანა ორივე ვაჟიშვილი ჯემალმა და ჩვენც შახტის შესასვლელთან გადავიღეთ გულუბრყვილოდ მომღიმარენი.

ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲡᲯᲐ

სპეციალისტების ნაკლებობა სპეციალისტთა... სიჭარბისას

ᲐᲛᲓᲐᲛᲐᲓ ᲑᲐᲗᲣᲛᲡᲐ და ხელვაჩაურის რაიონში ხუთასზე მეტი დროებით უმუშევარი პედაგოგია. ასევე მარტო ბათუმში დროებით უმუშევარია ხუთასამდე საშუალო სამედიცინო განათლების სპეციალისტი. რა დაუჯდა სახელმწიფოს მათი სწავლება და დაოსტატება? ინსტიტუტში სწავლის პერიოდში თითოეული სტუდენტის აღზრდაზე დაახლოებით 6-7 ათასი მანეთი იხარჯება, საშუალო სამედიცინო პერსონალის სწავლებაზე კი 4-5 ათასი მანეთი. როცა სპეციალისტი თავისი სპეციალობით არ მუშაობს, გამოდის, რომ სახელმწიფომ ამაოდ გაიღო ეს სახსრები.

და ეს ხდება მაშინ, როცა აქარის მთიანეთს 100-ზე მეტი პედაგოგი აკლია: რუსული ენისა და ლიტერატურის, უცხო ენების, მათემატიკის, ქიმია-ბიოლოგიის, ფიზკულტურისა და დაწყებითი კლასების მასწავლებლები. 7 სკოლაში საერთოდ არ ისწავლება უცხო ენა — სპეციალისტი არა ჰყავთ.

აი, ასეთი ვითარებაა აჭარის მთიანეთში, შარშან კი განაწილებას ადგილზე არ გამოცხადნენ თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის კურსდამთავრებულები: მაგუდ ბოლქვაძე, ნათელა კეკენაძე, ნინო ჩხაიძე, მადონა ტუღუში, ოლღა ხურშვილი. მათი ჩამოსვლით მთაში უკვე გადაწყდებოდა უცხო ენების სწავლების პრობლემა.

ნეტავ, როდემდე ერქმევა „დროებითი უმუშევარი“ რამდენიმე ასეულ სპეციალისტს? რისი იმედით არიან, ან რად ვერ სცილდებიან ქალაქს? თქმა არ უნდა: მთა მეაცრი ბუნებით გაცილებით მეტ საზრუნავს უჩენს ადამიანს, ვიდრე ბარი, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში მთაში სამუშაოდ ხალისით მიეშურებოდნენ ახალბედა მასწავლებლები და ექიმები. არც უგზოობას უფრთხოდნენ, არც მძიმე სამინაო და საყოფაცხოვრებო პირობებს. ახლა მთაში კეთილმოწყობილი გზებიც არის, გაზიც, ტელეგადაცემებიც კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებებიც, და თუმცა დედაქალაქთან შედარებით სიძნელეებიც მეტია, განა ახალგაზრდებმა ცხოვრება სწორედ სიძნელეების დაძლევით არ უნდა დაიწყონ? განა ეს არ არის მათი ეთიკური, მორალური, მამულიშვილური მოვალეობა? განა ამას არ გვასწავლის მამა-პაპათა მიერ განვლილი გზა, ან მათივე თანატოლების ანგარაზე, ბამზე და ჩვენი ქვეყნის სხვა მრავალ ახალგაზრდულ მშენებლობაზე გამოჩენილი გმირობა? და ბოლოს, რისთვის ამთავრებს ზოგიერთი ახალგაზრდა უმაღლეს სასწავლებელს, პროფესიის, სპეციალობის სიყვარულით თუ მხოლოდ დიპლომისათვის?

საკვებწარმოება: მთავარია გონივრული მოქმედება

ᲛᲐᲘᲐᲙᲝᲕᲡᲙᲘᲡ მეცხოველეებს ერთი პრობლემა აქვთ და მისი გადაჭრა არცთუ ადვილი საქმეა, რადგან საზოგადოებრივ მეურნეობებს პირუტყვის სარჩენად საკვების სავარგულები არ ჰყოფნით. ამ პრობლემის გადასაჭრელად აქაურები გულმოდგინედ ეძებენ რეზერვებს და გარკვეულ შედეგსაც აღწევენ. ამ ბოლო წლებში მაღალმთიანი სოფლების საკრაულის, ხანისა და ზეგნის სათიბები აითვისეს. თიბავენ აგრეთვე ვარციხის ჰიდროელექტროსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე. ამის შედეგად თითქმის 80 ჰექტარი სათიბი მიემატათ. ბალიასტომის ტბასთან რაიონს სათიბი გამოუყვეს, საიდანაც საშუალოდ 400 ტონა თივა ამოაქვთ.

წლეულს მაიაკოვსკელმა საკვებმომპოვებლებმა გეგმით ყოველ პირობით სულზე 13 ცენტნერი საკვები ერთეულო უნდა დაამზადონ. მათ კი უფრო დიდი გეგმა აქვთ დასახული და ფიქრობენ, 19,5 ცენტნერი საკვები ერთეული მოიმარაგონ. ჯერჯერობით კი 1520 ტონა თივა აქვთ დამზადებული, ეს კი მოთხოვნილების მხოლოდ ნახევარია. უხეში საკვების დამზადების გეგმის შესასრულებლად ძალიან ეიმედებათ სამინდოს კარგი მოსავალი. ხუსტი გაანგარიშებით, საკვებმომპოვებლებს არ უნდა გაუჭირდეთ 2800 ტონა ჩალის დამზადება. სილოსის ჩადება ახლა დაიწყეს და ფიქრობენ, რომ ამ უცილებელ საკვებს გეგმით გათვალისწინებულზე მეტს მოიმარაგებენ.

საკვების პრობლემა მაიაკოვსკელებმა აუცილებლად უნდა გადაჭრან, ამისათვის კი უნდა აითვისონ რეზერვები, გაადიდონ საკვები ბალახების წარმოების ეფექტიანობა, თორემ ის, რომ შარშანდელ 6 თვესთან შედარებით 1278 ცენტნერით მეტი რძე და 106 ცენტნერით მეტი ხორცი აწარმოეს, სანუგეშოდ ვერ გამოადგებათ. მკირეა თითოეული ფურის წველადობის მაჩვენებელი, ხოლო ხორცის წარმოების გეგმა მხოლოდ 73,3 პროცენტით არის შესრულებული, გაძვირებულია პროდუქციის წარმოება. აქ ერთი ცენტნერი რძის მიღება 48 მანეთის ნაცვლად 54 მანეთი უჯდებათ, ყოველი ცენტნერი ხორცის წარმოება კი 411 მანეთის ნაცვლად — 683 მანეთი. თუმცა აქ საგულისხმო ის არის, რომ შარშანდელთან შედარებით ცენტნერი რძის თვითღირებულება 9 მანეთით, ხოლო ხორცის 102 მანეთით შემცირდა. ეს თავისთავად უკეთესობისაკენ აღებული კურსია და მისი განმტკიცების აუცილებელი პირობა საკუთარი მყარი საკვები ბაზის შექმნაა.

...მაიაკოვსკის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის საკვებმომპოვებლები მდინარე ყვირილის გვერდით ახალჭალის მინდორს თიბავენ. გაზაფხულის წყალდიდობის კვალი აქაურობას ნათლად ატყვია. 16 ჰექტარი ფართობი სულ დაულამავს. სადაც ახლა თიბავები მუშაობენ, გაცოფებული მდინარის ტალღები დანავარდობდნენ. რა არ დაუტოვებია აქ მდინარეს! ყველაფრის გატანა ვერ მოუსწრიათ, დამსხვრეული ნავებიც კი ყრია. სილამ, როგორც ჩანს, გაამდიდრა სათიბი, ბალახი წელამდეა მოსული და ისეთი ხშირია, სათიბმა მანქანებმა ვერ იმუშავეს, მაშინ საკვებმომპოვებლებმა მამაპაპეული ცელები მოიმარჯვეს და ქუდზე კაცი გამოვიდა. როდესაც საუკეთესო მთიბავებით დავინტერესდი, გვითხრეს, სამაგალითოდ ირჯებიან ოთარ გოქსაძე, აკაკი არწეიძე, დუხუნ და ვასილ სახამბერაძეებო. აქ წინათ ორჯერ ვთიბავდით, ახლა ერთხელ თუ გავთიბავთ, სამაგიეროდ სათიბი ძალიან მდიდარია, ბალახის ასეთ მოსავალს არ მოვსწრებივართო.

დავინტერესდით შრომის ანაზღაურების მეთოდით. აგრონომმა ჯუდუ გეგეშიძემ გვითხრა: გასამრჯელოს საბოლოო შედეგების მიხედვით გაგაცემთო. უკვე მერამდენედ ერთი და იგივე ფაქტს ვაწყდებით, რატომღაც უნდათ, რომ მათი შრომა იჯარულ მეთოდად მოინათლოს ხოლმე. ეს სურვილი თავისთავად შეიძლება კარგიც იყოს, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამგვარ მუშაობას თავისი გამოკვეთილი ფორმა აქვს. სახელდახელოდ შეკრებილი მთიბავების რგოლის გარჯა იჯარული მეთოდით როგორ შეევფასოთ, როცა ეს საკვები კულტურები მათ არ მოუყვანიათ. თავიანთ ბრიგადებში მათ ძირითადად სხვა საქმეები ევალებათ და დღევანდელ შრომა დიახაც რომ საპატიოა, მაგრამ წლის შრომითი ციკლის მიხედვით მაინც ეპიზოდურია. არც ის უნდა იყოს მთლად სწორი, როცა ადამიანები ერთნაირ ენერგიას არ ხარჯავენ, აქედან გამომდინარე, სხვადასხვა ოდენობის პროდუქციას ქმნიან და შრომის გასამრჯელო კი თანაბრად უნდა მიიღონ. თითქოს აქ მთავარი ის იყოს, მავანი და მავანი დაარწმუნონ, იჯარული მეთოდით ვმუშაობთო.

უკვე 160 ტონა თივა ფერმის ეზოში მიუტანიათ და ზვინებად დაუდგამთ. კოლმეურნეობას უკვე 27 წელიწადია გამოცდილი თავკაცი, ორგზის ლენინის ორდენოსანი ანდრო კიკნავლიძე ხელმძღვანელობს. გაისად თურმე ბატონ ანდროს თავმჯდომარეობის 40 წლისთავი უსრულდება. ეს თარიღი ჰკვიან მეურნეს თავისთავად აყენებს რესპუბლიკის იმ საპატიო ადამიანების გვერდით, რომლებიც საკოლმეურნეო მშენებლობის ვეტერანებად ითვლებიან და დღესაც გზას უკვალავენ საზოგადოებრივ მეურნეობათა ახალგაზრდა თავკაცებს. თითქოს ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ ჭკვიანი თავმჯდომარე იმითაც ჩანს, რომ თვის ზვინებისათვის ლითონის

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

გუშინ, დღეს, ხვალ

◆ ᲤᲐᲥᲢᲘ ◆ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐ ◆ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ

სექტემბრის ზარები

ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲠᲘᲡ პირველი... ერთი ხატოვანი თქმისა არ იყოს, დღე გაღვიძებისა!

და მართლაც, რამდენ საზრუნავსა და საფიქრალს უჩენს იგი ყველას, უწინარესად კი მოსწავლისა და მასწავლებელს.

რესპუბლიკაში დროულად და ორგანიზებულად დაიწყო სასექტემბრო სამზადისი. იქ, სადაც საქმეს გულით მოეკიდნენ, შედეგიც სახიბარულოა. აი, რას გვატყობინებენ ჩვენი საკუთარი კორესპონდენტები:

● **ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ.** სკოლები და სკოლამდელი დაწესებულებანი მზად არიან ახალი სასწავლო წლისათვის, წლეულს შვიდ ახალ სკოლაში შეაღებენ კარს მოსწავლეები, სექტემბრის ბოლოს კი 2 საბავშვო ბაღში იზეიმებენ ნორჩები ახალმოსახლეობას.

სკოლო ბაზრობაც გრძელდება.

დღეს და ხვალ დედაქალაქის ყველა რაიონში გაჩაღდება სასკოლო ვაჭრობა. მოსწავლეებს მოემსახურება 18 ობიექტი. აქედან სამი — „ბავშვთა სამყარო“, უნივერმაღი „თბილისი“ და ცენტრალური უნივერმაღი ყველაზე სრულ ასორტიმენტს შესთავაზებს ყმაწვილებს.

საქონლის დიდი არჩევანი იქნება რიყეზე გამართულ სასკოლო ბაზრობაზეც.

იჩქარეთ, პატივცემულო მშობლებო, ზეგ ხომ სწავლა იწყება!

● **ᲐᲤᲮᲐᲖᲗᲘ.** **წლეულს აფხაზეთში 6 ათასზე მეტი მოსწავლე შეაღებს პირველად სკოლის კარს.**

ახალ კეთილმოწყობილ შენობებში მიუსხდებიან მერხებს მოსწავლეები გაგრის ზონის, ბიჭვინთის, ოჩამჩირის რაიონის კოჩარის, ქლოუს საშუალო და სოფელ ოტაპის რვაწლიან სკოლებში.

● **ᲐᲑᲮᲐᲖᲗᲘ.** **ავტონომიურ რესპუბლიკაში 8 ახალი სკოლა და ერთი სპორტული სკოლა აშენდა.** ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში 70 ათასზე მეტი მოსწავლე შეაღებს კარს, 6 ათასი პირველად მიუჯდება მერხს.

ხელოს რაიონის სოფლებში — ვაშლოვანსა და რაქვთაში, შუახევის რაიონის სოფლებში — ჩანჩხალოსა და შუბანში, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ კახაბერში სკოლები სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით აშენდა, ხოლო აჭყ

1897 წლის 23 მაისი იყო. პეტერბურგის „ახალი საადმირალოს“ გემთსაშენებელ ქარხანაში დაიწყო სამხედრო კრეისერის აგება.

გავიდა კიდევ სამი წელი, და 1900 წლის 11 მაისს ხომალდი საზეიმო ვითარებაში ჩაუშვეს წყალში. კრეისერს იმ იალქნიანი ფრეგატის პატივსაცემად, რომელმაც 1854 წელს თავი გამოიჩინა პეტროპავლოვსკის დაცვის დროს ინგლის-საფრანგეთის ესკადრის თავდასხმის მოგერიებისას, „ავრორა“ უწოდეს...

კრეისერის წყალში ჩაშვებას თვით იმპერატორი და მისი ამალა ესწრებოდნენ. შესანიშნავი სადღესასწაულო სანახაობით — ქვემეხებისა და ორკესტრის გრიალით აღგზნებული ნიკოლოზ მეორე ნამდვილად ვერც კი წარმოიდგენდა, რომ არც ისე დიდი ხნის შემდეგ სწორედ მის მიერ ნაკურთხი ეს კრეისერი მისცემდა თვითმპყრობელური რეჟიმის დამხობის სიგნალს, რომელიც შეძრავდა ქვეყნიერებას.

ეს დროც მალე დადგა — გათენდა XX საუკუნის მთავარი დღე — 1917 წლის 25 ოქტომბერი.

ბოლშევიკები მწყობრად მიაბიჯებენ, რევოლუციონერ მუშებს, ჯარისკაცებსა და მეზღვაურებს უკვე აღებული აქვთ სატელეფონო, რკინიგზის, რადიო და ელექტროსადგურები, ტელეგრაფი და დედაქალაქის სხვა მნიშვნელოვანი ობიექტები.

25 ოქტომბრის პირველ ნახევარშივე მეკავშირემ სმოლნოდან წაიღო პაკეტი, რომელშიც იდო პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოსთან არსებული სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის მოწოდება „რუსეთის მოქალაქეებს!“. იგი ვ. ი. ლენინმა დაწერა. ამ ისტორიულ დოკუმენტში ნათქვამია: „დროებითი მთავრობა დამხობილია. სახელმწიფო ხელისუფლება გადავიდა პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ორგანოს — სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის ხელში, რომელიც სათავეში უდგას პეტროგრადის პროლეტარიატსა და გარნიზონს.

ის საქმე, რომლისთვისაც იბრძოდა ხალხი — დემოკრატიული ზავის შესახებ წინადადების დაუყოვნებლივ წამოყენება, მიწაზე მემამულეური საკუთრების გაუქმება, მუშათა კონტროლი წარმოებისადმი, საბჭოთა მთავრობის შექმნა — უზრუნველყო ვილია.

ყველა მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა რევოლუციის!“.

„ავრორას“ 24 წლის ახალგაზრდა კომისარმა ალექსანდრე ბელოშევმა კრეისერის რადისტს მაგიდაზე დაუდო მოწოდება და მტკიცედ უთხრა: „ტელეგრამაა სმოლნიდან, ლენინისაგან. გადაეცით ყველას“.

მალე ტელეგრაფისტმა თევდორე ალონცევმა გადასცა დეკრეტები მიწისა და ზავის შესახებ, რომლებიც სმოლნის სააქტო დარბაზში საბჭოების სრულიად რუსეთის მეორე ყრილობამ მიიღო.

ლეგენდარული „ავრორას“ ეს მოახმობი ნიშნები მთელმა მსოფლიომ გაიგონა! ისინი ურეკიგრებოდ დატოვეს მხოლოდ ზამთრის სასახლეში. ულიანატუმს მიუნდა ადად დროებითი მთავრობა, რომელსაც იუნკერთა და კაზაკთა რაზმები და ქალთა დამკვრელი ბატალიონი იცავდა, ზამთრის სასახლეში განაგრძობდა თავდაცვას. მაშინ სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა გადაწყვიტა სასახლე შეტევით აეღოთ.

ნევაზე აღმა ნელა მიცურავდა კრეისერი „ავრორა“. ღამით მან ზამთრის სასახლის მახლობლად, ნიკოლოზის ხიდთან ჩაუშვა ღუზა. როგორც კი პეტრე-პავლეს ციხე-სიმაგრეზე წითელი სინათლე გამოჩნდებოდა, მას ქვემეხი უნდა ესროლა ზამთრის სასახლის მიმართულებით. ამ სიგნალზე კი სასახლის მოედანთან თავმოყრილ ჯარისკაცებსა და მეზღვაურებს შეტევა უნდა დაეწყოთ.

ავრორელთათვის დაძაბული ლოდინის შემდეგ გამოჩნდა სიგნალი. დაიქუხა კრეისერმაც და სამყაროს ამცნო კაცობრიობის ისტორიაში ახალი ერის დაწყება...

როცა მუშებს, ჯარისკაცებსა და მეზღვაურებს რაზმი ზამთრის სასახლის იმ ოთახს მიადგა, რომელშიც ჯერ კიდევ ისხდნენ დროებითი მთავრობის წევრები, მათ გზა გადაუღობა იუნკერმა.

— აქ მთავრობაა, — თქვა მან.

— აქ კი რევოლუციაა, — უპასუხა მატროსმა.

ეს იყო 1917 წლის 26 ოქტომბერს, ღამის 2 საათსა და 10 წუთზე. აჯანყებულმა ხალხმა ზამთრის სასახლეში უკანასკნელი ზღუდე გადალახა. რამდენიმე წუთის შემდეგ ყოფილი მინისტრები ბადრაგის თანხლებით პეტრე-პავლეს ციხე-სიმაგრეში გაგზავნეს. მთავრობის მეთაურმა კერენსკიმ ამერიკის საელჩოს ავტომანქანით მოახერხა გაქცევა.

რამდენიმე წუთის შემდეგ სამხედრო-რევოლუციურ კომიტეტში ლენინთან გამოცხადდა ჯარისკაცი და ბელადს მოახსენა: „ზამთრის სასახლე აღებულია“...

კრეისერ „ავრორას“ მეზღვაურები პირველნი გამოეხმაურნენ ვ. ი. ლენინისა და ბოლშევიკური პარტიის მოწოდებას: „სოციალისტური სამშობლო საფრთხეშია!“.

მუზეუმში არის მეტად საინტერესო დოკუმენტი, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს. ეს არის კრეისერის ეკიპაჟის წერილი, რომელიც 1917 წლის 27 ოქტომბერს გამოქვეყნდა „პრავდაში“ ბურჟუაზიული გაზეთების იმ მონაჟორის საწინააღმდეგოდ, თითქოს „ავრორას“ საბრძოლო ყუმბარები დაეშინოს ზამთრის სასახლისათვის.

